ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2984981

ნომერი: AR1460666

თარიღი : 01.12.2016

გაცემის თარიღი : 07.12.2016

გაცნობის თარიღი : 08.12.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 38 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თინათინ დიდავა პ/ნ 01009018754
- მაჩაბლის 8

ორგანიზაცია:
- პრემიერი კოდი: 404514138

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

საჭიროა წარმოადგინოთ ველში "საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა" ატვირთულ შეთანხმების აქტში დაფიქსირებლი დანართი და ასევე მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა სარეკლამო კონსტრუქციის დატანით. გაითვალისწინეთ:

ა) საჯარო რეესტრის მონაცემებით მიწის ნაკვეთი დატვირთულია სერვიტუტით, სერვიტუტზე კი აკრძალულია ყოველგვარი მშენებლობა. შესაბამისად სარეკლამო კონსტრუქციის განთავსება უნდა მოხდეს სერვიტუტისგან თავისუფალ ადგილას, რის მიხედვითაც უნდა დააკორექტიროთ საპროექტო ფოტომონტაჟი.
ბ)მიწის ნაკვეთის იმ ნაწილში, სადაც სავარაუდოდ ხდება სარაკლამო კონსტრუქციის განთავსება გადის სახელმწიფოს კუთვნილი კანალიზაციის მილი (ს.კ. N 01.01.755). იმ შემთხვევაში, თუ სარეკლამო კონსტრუქციის განთავსება ხდება აღნიშნული მილის მიმდებარედ საჭიროა წარმოადგინოთ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

ასევე, ველში "საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა" ატვირთულ ხელშეკრულებაში ფიქსირდება სხვა მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი, საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული, სწორი ხელშეკრულება.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.